


# ლიტერატური გაფესი

№18 (322) 30 სექტემბერი - 13 ოქტომბერი 2022

გამოცემის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევისით

ფასი 80 თერი

## ზაალ სამადაშვილი



## ცხოვრების ხეზურები

ცხოვრების მეგზურებად ისეთი მაგარი მოთხოვნები რომ გექცნენ, როგორებიც უილიამ ფოლკნერის „ძიაბილი“, გაბრიელ გარსია მარკესის „პოლკოვნიკს არავინ სწერს“ და გურამ გეგეშიძის „შურისძიებაა“, შენი გემოვნების ჩამოყალიბებაში მონაწილეობა უნდა ჰქონდეთ მიღებული:

ფათერაკებს — მსუბუქებსა და მძიმებს, თავსგადახდენილებს ადრეული ბავშვობიდან გვიან მონიფულობამდე;

სმას — ყმანვილკაცობიდან ჭარმაგობამდე, ღროდადრო გაბმით;

კითხვას — ჯერ განუჩრჩევლად ყველაფრის, მერე შერჩევით და მერე შერჩეულებიდან რამდენიმეს ამოჩებით;

მუსიკის მოსმენას — წიგნების კითხვის მსგავსი განწყობით და თანმიმდევრობით, ძველქუჩჩებში ხეტიალისას ფანჯრებიდან გაგონილი გამების, ეტიუდების და სონატინების ჩათვლით;

ნახატების თვალიერებას — დაწყებულს „მაუგლის“ ილუსტრაციებით, გაგრძელებულს ცნობილი ტილოების კედლებზე გაკრული რეპროდუქციებით, მუზეუმებსა და სამხატვრო გალერეებში ფეხის შედგმამდე;



ნეორეალისტური ფილმების და იმავე ეპოქის ვესტერნების ყურებას ძველი დროს კინოთეატრებში;

საყვედურებს და შენიშვნებს, სამართლიანებს და უსამართლოებს — კეთილისმყოფლებისა და აზრის დათრგუნვის მოსურნებისგან;

დამარცხებებს სირთულეებთან შეტიდებისას — გამოწვეულებს საკუთარი შესაძლებლობების შეუფასებლობით;

სიზმრებს — რამდენიმე საათით მაინც რომ რჩებოდნენ მეხსიერებაში; მეგობრობას — შეზე უკეთეს ადამიანებთან და მარტობასთან...

//



## რუსულან რუსაძე

## ზაფხულის სვინგი

ცოცხლებზე ან ცუდს ამბობენ ან არაფერს.

ჩაილაპარაკა თინიამ და აბრეშუმის პარკს მზის შუქზე გახედა, თითქოს ჭუპრის დალანდფვას ცდილობდა. აივანზე ფეხმორთხმით იჯდა და გაბზარულ გობში ქათქათა, წელგამოყვანილ ვალებს ფაქიზად ალაგებდა. გვიმრის სხელი კონები უფრო კოხტად რომ დამეწყო, ამდენი დომფალა არ გამორეოდა, გაიფიქრა. ერთიც რომ იპოვონ ტომარაში, ის ფასი აღარ ექნება, რაც გუმანში მქონდა და ამდენი ჯაფა წყალში ჩამეყრებაო. ისე, მაინც დამაინც არც მინდვრის ცოცხმა გაამართლა, გაისად გვირილის ლეროები უნდა უცადო, იქნებ ცახიდან პარკის გამოკრეფაც უფრო გამიადვილდეს და ნატერებიც ნაკლებად დაემჩნესო.

პარკის წმენდისას ნაპერტყული ისე მჭიდროდ დაეხვია საჩვენებელ თითზე, ფრჩხილს ისიფერი დასდებოდა. ხელი გაითავისულა, სისხლი ამოძრავდა და უნებლივდ ძველი ამბავი გაახსენდა — მანკუნიტებმა ახალშობილი რომ გაგუდეს, ყანაში დაფლეს და მერე თავი იმართლეს, მკაფარი დაიბადა და მეზობლები იჩემებდნენ, იმ ღამეს ბავშვის ტირილი გვესმოდა და ბებიაქალმაც კუტიკარიდან მალულად დატოვა იქაურობაო. ჯერ კიდევ ახალმოლოგინებული, უნლოვანი ქალიშვილი ქალაქში გაამნესეს ფურნები სამუშაოდ და ვითომ არაფერი — ისე გააგრძელეს ცხოვრება. სოფლის ბავშვებს მანკუნიტებმის მეჩერი ღობიდან თავამოყოფილი ყვაილების დაკრეფა სასტიკად ეკრძალებოდათ, ხოლო თუ ძროხა სისხლიან ძეგლი მოიწველიდა, იმ უხსენებლების ბალახს წაატანდა პირსო, იტყვოდნენ.

თინია ფიქრის კვალს მიჰყვა და მიხვდა, რომ სინამდვილეში უსიცოცხლო, ისიფერმა თითმა კი არ გაახსენა ის საზარელი ამბავი, არამედ ღვინისფერმა ნიშანმა საცვლის უბეზე, დილაუთენია რომ ნაუხდინა გუნება. თუ ჯის მტრედებიან ჭიშკართან მომტლინებითათვის ახლა უკვე დარწმუნებით შეეძლო ეთქვა, რომ თხაკალიერების რძლის შელოცვა წყალი იყო, ყოველ შემთხვევაში ზღვის მოქცევამდე მაინც. ერთი კვირითაც რომ გადამცდენოდა, იქნებ დღეს არც ეზოს მოთიქ...

ვის, თავლის გამოსუფთავების ან სხვა დაგვიანებული საქმის გამო გავწყომოდი ტიტეს და ძველებურად მეტევა — თუ ჩემი ბიჭი ხარ, ასე და ასე ქენი, თუ ჩემი ტიტიკო ხარ-მეთქი...

მანკუნიტების ამბისგან გონება რომ გადაეწმინდა, მტკიცედ გადაწყვიტა, აბრეშუმის ფულით აუცილებლად ორივე წავალთ ექიმთან და იქნებ წლევანდელ მოსავალშიეს ამდენი დომფალაც სასიკეთო ამბის მასარობელი უფრო იყოს, ვიდრე წუნისა და გაუფასურებისო. შავი ჩხარი და უსაშველო ჩვენს მტერს და მოშურნეს, ან სულაც ქარს და ნიავსო. ბედისნერის სამხილებთან შეთამაშებას თინია იმის მერე ფრთხილობდა, რაც საკვირაო წირვისას ტიტეს მხარზე ჩამოლვრილი თაფლის წვეთი მხოლოდ იმის ნიშანი აღმოჩნდა, რომ გუმბათის სიღრმეში, ღვთისმშობლის კალთის კიდეზე ფუტკრებს ფიჭა გაეკეთებინათ და ცვილის დამძიმებული უჯრები ტებილ სითხეს ვეღარიკავებდა. მრევლია მონამე: როდესაც მლვდელმა ტიტეს თავზე ხელი დაადო, ყბა ააცახცა ასა და მთრთოლარე ხმით უთხრა, ღმერთს ჰყვარებიხარ, თინამ გულუბრყვილოდ იკითხა, მამაო, ნეტა, ცაცხვისაა თუ აკაციისო, ქმარს თაფლის ნაღვენთი ჩამოსწმინდა და თითი გაილოკა.

მეხსიერების კავანათში გაბმული უსიამოვნო ამბებისგან თავდასალნევად თინამ თვალები მოიფშვინტა და სმამალლა ამოიხვენება — აბრეშუმის ჭია პარკის ახვევას რომ დაიწყებს და დღედალამ უწყვეტი ძაფით ქსოვს, მეც იქამდე ვერ დავისნი ხოლმე ფიქრისგან თავს, სანამ ჩემს დარღმი ჭუპრივით არ გამოვეხვევი. მთელი დღის საფიქრალი ძილში ჩამყვება, სიზმრიდან კიდევ ცხადში გადმოინაცვლებს და სადღაა ის სილალე, ქალიშვილობაში რომ ვიცოდი. ისე, მაინც რა არის ცხოვრება, მოელი ზაფხული თავისა მეტარგული ვშრომბა, მაგრამ აბრეშუმის გზას ის ქალები გავდივართ, ვისაც შტაპელის კაბები ვერ გაგვიხ...

ქვენა ქარმა ფიქრისგან გამოაფხიზდა — მაქმანის ფარდაზე შავად დანინნკულული, ცისფერი ღარე შეინარჩუნა.

///



XII-XIII



ნიგნის” — „პინოქიოს თავვადასავლის” — უცხოენოვანი გამოცემა და მიუხედავად იმისა, რომ ზღაპრებით გატაცების ასაკ-იდან კაიხნის გამოსული გახლდით, დიდი ინტერესით წავიკითხე. როგორც მასსოცეს, დიდადაც ვისიამოვნე, თუმცა შედარებისას (შეუძლებელია, ეს სურვილი არ გამჩენილია) უპირატესობა კედლის ღუმელთან მოსმენილს მივანიჭო...

დღეების ან თვეების არა, წლების გასვლის შემდეგ ასეთი აზრიც კი დამტკადა, ხომ არ აჯობებდა რომ არსებობა წიგნისა, რომელიც წაიკითხეს, დაკარგეს და მერე მის მიხედვით ახალი წიგნი დაწერეს — გამონაგონი ყოფილიყო...

მე და ჩემნაირებს დაუსრულებლად გვ-  
ექცებნა, ვერ მიგვეგნო და წარმოსახვის ან-  
აბარა დარჩენილებს მხოლოდ და მხოლოდ  
წარმოდგენა შეგვძლებოდა, როგორი ფან-  
ტასტიკური იქნებოდა პირველწყარო, რო-  
მლის ანარეკლი, ესოდენ ძლიერ, წარუშლ-  
ელ შთაბეჭდილებას უტოვებდა თითოეულ  
ჩეინგანს...

„ტანჯვას“ და „ჭეშმარიტებას“ რომ ახ-  
სენჯებნ ყველაზე ხშირად, კალმოსნებისა,  
დათობამდე სხვებს და დათობის შემ-  
დეგ, საკუთარ თავს რომ აქებენ, ქუჩის ბი-  
ჭებისა, მუდამ ვიღაცას რომ განიკითხავენ  
სულმოკლეობის გამო, ღორმუცელებისა,  
სიამოვნებისგან რომ ხვენებიან ყოველი  
ლუკმისა და ბარაქიანი ყლუპის შემდეგ,  
სტუდენტებისა, ერთნაირი გზებით რომ  
ლაპარაკობენ ფეხბურთზე, „ლედ ზეპელი-  
ნსა“ და პოლონელ მზეთუნახავ ბეატა ტიშ-  
კევიჩზე, უბრალო ლოთებისა, ხელები რომ  
უცახცახებთ პირველ „ჩარტყმადე“, ჩუ-  
მად რომ სვამენ და არ ჭამენ...

დაცარიელებულ დარბაზში ცოცხითა  
და აქანდაზით შემოსული დამტლაგებელი  
რომელილაც მაგიდაზე რომ პოულობს გვ-  
არიანად შემსუბუქებულ, ცხიმანი ნათა-  
თურებით გაქონილ ბოთლს და კვლავ დახ-  
ლზე აბრუნებს. არც მან, არც მედუქნემ და  
არც ვინმე სხვამ არ იცის, რატომ არის ასე,  
თეფში, ჭიქა, კათხა, ჩანგალი, სამარილე  
— ბევრია, ჭურჭელი პილპილისთვის კი —  
ერთი და ისიც ნაარყალი, ყოველ დილას  
საგულდაგულოდ გასაკრიალებელი...

საბჭოებისთვის ჩვეულ, მოქალაქეთა  
გასანვალებლად ხელოვნურად შექმნილს  
ჰყავს ეს ვითარება, სეანსის დასრულების  
შემდგა კინოთეატრიდან გასასვლელი კა-  
რის მხოლოდ ერთი ფრთის გაღებისა არ  
იყოს, რამდენიმე ასეული ადამიანისთვის,  
თუმცა გასასვლელის სივიწროვით უკმაყ-  
ოფილო მაყურებლებისგან განსხვავებით,  
პილპილით სავაეს ბოთლის ერთადერთობა  
სულაც არ უქმნის უხერხულობას დუქნებ-  
ს სასახლეების მიერ გადასახლებას.

ის ს ცუმრებს. შეიძლება ითქვას, რომ ის ერთგვარი ატრიბუტია რიტუალისა, რომელიც ყველად უნდა შეასრულოს, დაახლოებით ისეთი ნივთი, როგორც „მშვიდობის ჩიბუზი“, ერთადერთი რომ არის დაკოცონის ირგვლივ მსხვდარი ინდიელები ერთმანეთს რომ გადასცემენ გასაბოლებლად. დუქანში შემოსულმა კაცმა იცის, რომ როცა დრო მოუნეეს პირის ჩაგემრიელებისა, მეზობელ ან მოშორებით მდგარ გვიანდება.

მაგიდასთან უნდა მივიღეს ბოოლის ხამო-  
სალებად, ზრდილობიანად, კეთილგანწყო-  
ბის გამომხატველი ღიმილით მიმართოს იქ  
მყოფებს და მადლობა გადაუხადოს, სან-  
ამ ხელდაშვერებული გამოემართება თან-  
ამეინახებისკენ.

ასე უნდა მოიქცენ და იქცევიან კიდევც, მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც ჩირადაც არ ულირთ დიდი და საფუძვლიანი მუშტი-კრიკის გამართვა სრულიად უმნიშვნელო მიზეზით...

სუს, ალექსანდრ კას, საკოლეგი დაყრდნობა  
იცის ჩემუბი და თავი რომ დაიზღვიო, დაყრდნობა  
ილიდან სამი, ცერა, საჩვენებელი და არა-  
თითოთ ამოლებული მარილის პანაზინა მა-  
რცვლები სამგზის უნდა გატყორცნო მხა-  
რსუკან...“

ამ აბბავის ჩეხი მწერლის, ბოჟუმილ ჰერა-  
ბალის მსგავსად სქლადნაქსოვი პულო-  
ვერების, ლუდხანებში ჯდომის, ენისდაუ-  
ღლელად თხრობის, უმნიშვნელო დეტა-  
ლების გაზვიადების მოყვარული კაცი ჰე-  
ვება, სამოცდაათ წელს მიტანებული თბი-  
ლისის მკვიდრი, რომელიც ბევრს კითხუ-  
ლობს და ცოტას წერს...



# ზაფხულის სვენგი

დასაწყისი პირველ გვერდზე

\* \* \*

ჰოდა, რატომ ვარ ცოცხალი?!  
ცოლის ჩეუმად ნათევამს ტიტე შეძახი-  
ით გამოეხმაურა. მართალია, თინიას  
ისწრებულმა სიტყვამ თრივეს ღიმილი  
იჰევარა, მაგრამ ერთმანეთისკენ თვალი  
გაუპარებიათ, გულის მობრუნება ნაა-  
რევად არ მოგვივიდესო. მაზუთანი ხე-  
ები ნავთიანი ჩვრით გაინშინდა, რამდენ-  
იე ნაბიჯით უკან დაიხია და ველოსიპედს  
ირიდან გახედა. მერე მტევნები გაშალა,  
უჯები ქამარს ქვემოდან ამოსდო, შარვ-  
ის სათავე გაისწორა და თავისთვის ჩაი-  
აპარაკა — ერთი კეთილი სიტყვა მაინც  
ა გახდა ამ დილითო.

ଲା ଦ୍ୱୟେଣ୍ଣି ସିପ୍ୟାର୍କୁଳୋ ଉଚ୍ଚନ୍ଦରା ଓ ଆମିତ୍ରମ୍ଭ  
ନ୍ତାକୁନ୍ତକୁଳାଙ୍ଗେବୀଳ କୁ ଅରା, ଫ୍ରାନ୍କର୍କ ହିନ୍ଦୁଳୀଳ ଶେମ-  
ଡ୍ରେଗାକ ମିଳି ଶେମରନ୍ଦିଗେବାଳ ଅଧିକିଲାଦ ଆବେରନ୍-  
ଗେଢିଲା. ଜ୍ୟାନ୍ତାରାବୀଳ ଫ୍ରେଲାମ୍ଭୁଶିଳ ମନମିଥାଙ୍ଗେବାଳ  
ଫାଇନ୍ଗ୍ଯବ୍ଦା ତୁ ଅରା, କାରଦାଲାସତାନ ମେନର୍କ  
ତାଵି ଗାମରିନ୍ଦର୍ଦେଖିଲାଦା. ଗାନ୍ଦିଶାକୁତରକେବିଠ ଗ୍ରୁ-  
ଲିଙ୍ଗଦେଇବାଳି ଶ୍ରୀପାରକାଦ, ଶାକୁତାରି ଶେଲିତ  
ଫାରଗୁଣୀ ଶୈରକ୍ଷେଣ୍ଣି ନୀଲା ନୀଲା — ନୀକାମଦ୍ରେ ରନ୍ଧି  
ଏତିଲ୍ଲେବ୍ରନ୍ଦା, ଶାନାମ ସିମାଲଲ୍ଲେଶି ଅର ଗାନ୍ଦିଶା  
ନେନ୍ରା. ତ୍ରିତ୍ରେ ଶୁତିଳ ନ୍ରିନ୍ଦିଲ ମନ୍ଦରାନ୍ଦାଳ ଗ୍ରୁ-  
ଲିଙ୍ଗଦାଶିଠ ଆକାଶର୍ଦେଖିଲାଦା, ତ୍ରୁପ୍ତମିଳିଲ ମଦ୍ରୁ-  
ଲାର୍କ ନ୍ରେବନ୍ଦି ସିମିନ୍ଦିଲ ଫ୍ରେଗ୍ରିଲମ୍ବା କୁମ୍ଭତ୍ରେବୀ  
ଅର ଗାନ୍ଦିଶାତମ୍ବିନ୍ଦା. ତୁମ୍ଭି ମାନିନ୍ତି ଆସ ମନ୍ଦର୍ଦେଖିଲା-  
ଦା, କ୍ଷାମିଲାଶ ଫାଇତମିଳିଦା ଓ ନିତିପୁନାଦା, ଆମା-  
ଲାମ ଶାମି ମତାଵର୍କ ଆମିନା, ଅନ ଶ୍ଵାନିଦି, ଅନ ତୁ-  
ଶୁତମ୍ଭେତିନ.

იმ საღამოს თინიას კარდალა ცეკვებზე  
არ შემოუდგამს და მოლოუბლულ ცაზე ის  
ერთი მთვარი არ ამოსულა.

3


ମୁଦ୍ରଣ ତାରିଖ

თეორი ჭურვებით არ დამანახოთ, კარგი წევეულებას სტუმრებს თეფშების მოხატულობითაც უნდა დაამახსოვრდეთო. ბენდის და მუსიკის გარეშე ის დიდებული სა-ლამო ვერ ჩავლის, ამაზე უკვე ვიზრუნეო. არაყი გადაჰკრა, ყველა მიაყოლა და ტიტეს მიუბრუნდა, რიყის ქვაზე ბათმანებს რომ ვხატავდი და ერთმანეთთან ვალაპარაკებდი, თუ გახსოვსო. მაგას რა დამავიწყებს, მაგრამ რიყეზე ძველებურად ვეღლარ ჩახვალ, იმ მიწას ახლა პატრონი ჰყავს, ქვა და სილა თუ გინდა, უნდა იყყდონ, ჭიქები შეავსო ტიტემ. ვიცი, ის დრო წავიდა, მაგრამ ბათმანი ცხენისწყლის გარეშე იგივეა, რაც წვერა უწყლოდო, დანანებით თქვა ოლიმ და მდინარის ხმას მიაყრადა.

ბათმანების კი ორი შტო არსებობდა — ქვემო იმერეთში დარჩენილებისა, ჯაჭვიან არაყვს რომ ხდიდნენ და ამერიკის ერთ პატარა ქალაქში, ბოულინგ გრინში, დასახლებულებისა, გულაბის ნახადის მონატრებას მსხლის სიდრით რომ იკლავდნენ. იმ დროს, როდესაც ყველას ქვეყნიდან გაქცევაზე ეჭირო თვალი, ოლის მამამ შანსია არ გაუქმა ხელიდან და ერთ ცხელ ზაფხულს თავის კონტრაბასიანად ჩრდილოეთ ევროპაში დარჩა. გადაწყვეტილება კი მშიერ კუჭზე სულაც არ მიუღია, რადგან ინსტრუმენტს ცალკე ბილეთი ეკუთვნობა და, შესაბამისად, წითელი ღვინოზაცა და ქათმის ფილეც, მწვანე ლობიოს გარნირით, ორმაგი ერგებოდა. ცუდი დრო იყო, გასტროლებზე სიმფონიური ორკესტრი მიდიოდა და კამერული ბრუნდებოდა, ხშირად იმეორებდა ემიგრაციის გასამართლებად. დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ კი ბოულინგ გრინში დასახლდა და რამდენიმე წელიწადში უმამოდ წამოზრდილი ოლიც თან წაიყვანა. ოლიფანტე უმცროსმა მოგვარეთაგან გასარჩევი კილი ანუ საგინებელი იქაურობას სხარტად მოარგო და ოლი ბეტმენ-ლო ათასძრა.

ად გადაიწყო. ასე და ამგვარად, მოულოდნელად და-ბრუნებული ოლი ბეტმენი ტიტე ბათმანის ეზიში, კარალიონის ჩრდილში, იჯდა, ნე-სტიიანი ჰავისიგა დღოდადღო ახველებდა და ძეველ ამბებს იხსენებდა: ლოტოს გუდ-ას ერთი კოჭი რომ აკლდა და ამოძახების დაწყებამდე 28-ზე რომ უნდა დაგედონ სიმი-ნდის მარცვალი; მაყვლის კრეფისას კრა-ზანამ რომ უკბინა და თითგასიებული მეფ-უტკრეს რომ მითგვარეს საშველად — იმან კიდევ, რაღას ვიზამთ, არ ეკბინა, კარგი იყო; ბებიამ კინოში რომ ნაიყვანა ინდუ-რი ფილმის სანახავად და უკანა გზაზე რომ ამშვიდებდა, კინო იყო, კინო, ახლა ყვ-ელა კარგადაა და ტკბილად სძინავთ.

დასასრული მე-6 გვერდზე



## დოდო ჭუმბურიძე

### ხეილი და დოკუმენტი

ვხედავ ამ ქალს — ნატეხს კლდისას,  
იცის, ვინ და რა დაიცვას,  
მიწის საქმეს უჯობს ცისა,  
ანგელოზად გადაიქცა,  
ჩიტმა — ჩიტს და ქარმა — ვარსკვლავს, —  
ცაში ამბად გადაიცა,  
პალეკარტი დედოფლისა  
ჯვალოზე რომ გადაიცვა...

\*\*\*  
გული ისევ ნატრობს მცირედს, —  
მიუწველოს შურით დალლილთ,  
ბედი ცეცხლს რომ მაკოცნინებს, —  
იმ ცეცხლშიდაც ვიყო ლალი,  
ერთხელ მაინც მითხრას ვინმეტ —  
ნალი სიტყვა თუ ლირს, რა ლირს...

\*\*\*  
მოჩანს მთები შავშეთის,  
ეფარება იქით მთებს,  
ცოტა კიდევ დავრჩები,  
ცოტას კიდევ ვიფირებ.  
— სად გავიგო, რაც მელის,  
ქარი იქით მითითებს,  
გავცოცხლდები ნაცრემლი,  
რითაც ვკვდები, მითითვე...

\*\*\*  
მოხვევიან სუროები ჩემი ეზოს ტყეს,  
ყეფს დაბმული ძალის, როგორც დარღი, ყეფს,  
მეუქირება, იცი, რისაც,  
აზრს მობარეუფს ვკრეფ,  
ვიცვამ ქიშმირისას, ვეჩვენები მტრებს.  
ჩამოივლის ოსირისი, ჩამომაგლეჯს ფრთებს,  
დამშეული, ყოფის ზიზლით,  
ძალი ისევ ყეფს...

თაგალ-გვირისატები

\*  
დარღმა დამადო როცა მძიმე ტორი,  
აქედან გავიქცი და ვნახე მარტოსულმა —  
პრინცის კუნძულიდან კონსტანტინეპოლი,  
მარმარილოს ზღვიდან ნიმფების გამოცურვა...

\*  
რაც უფრო კარგი ხარ,  
მით უფრო გდევნიან,  
მტვერს მეტად გაყრიან, რაც მეტად ელავ,  
ერთგული ცოტაა, ორგული ბევრია,  
სიძულვილს იპოვი, — სიყვარულს — ვერა...

\*  
ისევ შემიჩნდება, სულში ჯდება ეშმა,  
ელვით იხაზება ღამე მოწმენდილი,  
არც მიწის ზემოთა ვარ და არც მიწის ქვეშ ვარ,  
თითქოს ვარსკვლავი ვარ, ქარის მოწყვეტილი...

\*  
ზამთრის ნისლებმა პირი შეკრეს, — აშორდნენ ზეგნებს,  
მთებზე ადიან, უფსკრულებში მთიდან ხტებიან,  
ქარის ზეგნები გაშიგვებულ ხებში რეკენ  
და გაზაფხულის შეხვედრებზე გვითანხმდებიან...

\*  
ვხედავ კავკასიონს, ლომივით თვლემს,  
ფეხებთან ვუწვები და  
ვისვენებ ამგვარად,  
ალვა ალვას ჰეგავს და მთები ჰეგავს მთებს,  
ჩემი სურვილები კი ერთმანეთს არ ჰეგვანან...

\*  
ანკესი სიმართლისა, გადააგდე,  
გსურდა ჭეშმარიტის დანახვა,  
ოქრო იყავი და გადაგადნეს  
და ახლა სპილენძიც არა ხარ...

\*  
წყვდიადის ერთი ძაფით შეკრულებს,  
ვინ შეგვენვა ახლა ბედკრულებს,  
თუ არა ლმერთი, ყოვლის შემძლები,  
უგულო მტრებსაც რომ გვიერთგულებს...

\*  
ყველაფერს თუ განიცდის, კაცი გაგიუდება,  
გულსაც დაიმსხვრევს და ყოფასაც, დანარჩენს,  
ეს ყალბი მონეტები ძეირი დაგვიჯდება,  
ყალბისგან ნამდვილებს დროც ვეღარ განარჩევს...

\*  
ბრძნულად სხვის ომში ვით განვსაჯო ტკივილი სხვისი,  
თითქოს ძარღვებში ჯადო მესხას და არა სისხლი...

\*\*\*  
ფიქრები შორს მიფრენენ, შიგადაშიგ  
გავყურებ სივრცეს, წინ გადაშლილს,  
მომდევნო ჩიტების გუნდები,

ვერ არღვებს ვერა დრო წმინდა კავშირს, —  
როგორც ოდისევისი ითაკაში, —  
მეც ბოლოს აიაში ვბრუნდები...

\*\*\*  
მცხეთასთან ქარები დამეჯახნენ და წამაქციეს,  
ძლიერ წამოვდექი და თავი დაგანდნიე,  
ქარების მეფე ლეგნდაში, რომაულშია...  
ეოლოს ვსაყვედურობ, ეს გიშები რომ აუშვია...

\*\*\*  
ჰაერს ათხელებს ეს მდინარე, სკამანდრიოსი,  
ვჯდები ნაპირზე, კენჭებს ვითვლი ვითომ რიონში,  
ჰეტიორის ცოლი, ანდრომაქე ვიყო ვითომდაც,  
ტრიოს ლეგნდა რას ფიქრობდა და რას იქმოდა.  
ვერაფერს შეცვლის ანდრომაქე,  
თავს რად იოსებს?..  
გვრიტები სვამენ წყალს მდინარე სკამანდრიოსზე...

\*\*\*  
რისი გენიოსი, რისი ნიჭიერი,  
იყო საოცრად ცხადი და მიწიერი,  
ყველაფერს აკეთებდა სახე-ცნობადისთვის,  
ცხოვრობდა დღევანდელით, არა მყობადისთვის,  
ბადალი არ ჰყავდა ტყუილში, მოპრიგაში,  
გიხდ არგეთ მთაწმინდა, გინდა მონპარნასი...

\*\*\*  
ჩენ, უგნურებმა, უფალს შევცოდეთ, —  
სატანას კუდი როცა გაუბიო,  
მაშინ, როდესაც, რომც არ ერჩოდეს,  
ბოროტი კეთილს თავად გაურბის...

\*\*\*  
უსასოო ფიქრი დამნთქავს,  
ვცდილობ, მიერვდე აზრით ნათქვამს,  
მშვიდ ცხოვრებას ვნატრობ ქალის...

ნავალ, დადგამს სხვა აქ სპექტაკლს,  
ამხელს ვინმე ამ ბრმა სექტას,  
ამ უგონო აპოკალიპს...

\*\*\*  
ძნელი არის იმის ცოდნა, რაა მადლი და რა ცოდვა,  
მოძღვარს თუ ვერ მოუყვები,  
გულში რაც გაქვს და რაც გქონდა...  
ისეც იცის ღმერთმა, პოდა, პატიგება იმას თხოვე,  
სხვას ვერაფერს გამოიტან  
დამძიმებულ ცოდვის დროდან...

\*\*\*  
ქარვის მძივი ნითელი — მნიუკ ალუბლებია,  
სიყვარულის მზიდველი — თრთიან, ანუ დნებიან,  
მიწოდიან განგებას, ყელზე მეტმასნებიან,  
რაც მეტის სურთ გაგება, უფრო მეტად სცდებიან...

\*\*\*  
სიკვდილამდე რა არ ხდება,  
კაცი კაცზე რას არ იგებს,  
ზოგი ცხოვრობს უდარდელად,  
სხვათა ტკივილს თვალს არიდებს,  
ზოგი ებრძების საკუთარ თავს,  
იქმს, ეშმაკი რასაც ინებს,  
„მტერი მტერსა ვერას უზამს,  
რომე კაცი თავსა ივნებს“.

\*\*\*  
ეს გუგუნი, ეს ხმა ცემის,  
საარია თურმე დილის,  
ამ ცივ ქალაქს გავექცევი,  
ვამჯობინებ მნიდორს გვიმრის,  
ოცებათა ზღვში ლავლივს,  
ნაკადულის პირას ნანავს,  
ვინ — ვის, ფიქრიც მომატყუებს,  
მივსდევ, მაგრამ, ვირბენ სანამ...

\*\*\*  
ვისთვის გაუგებარია,  
საცნაური არის ვისთვის,  
რა დიდია ძალა უფლის  
ჩვენი მწირი ცხოვრებისთვის,  
ბუნებაც კი ემზადება  
ლხინისა თუ მავი დღისთვის,  
ჩიტუნებმა იგალობებს  
დანერილი მესა ტყისთვის,  
დრო გამეფდა, უმი ჟამობს  
უბირ კაცთა შესატყვისი...

\*\*\*  
დაიღლები დეა, ოდეს,  
ნაღვებს აიყიდებ ლოდად,  
თოვდა, მაგრამ თბილად თოვდა,  
იყო სიყვარულის დრო და  
იყო უსასრულობაში გადასული აღტყინება.  
მორჩი ლოდინს და კირთებას, გული ისევ აგტკივედება,  
რომ გონია დაკარგული, სიყვარული არკი კვდება,  
სიკვდილამდე სულ იქნება და თან,  
უფრო გატკილდება...

\*\*\*  
ეს გული ტბა არის, ფსკერი აქვს უძირო,  
შიგ ვისვრი ტკივილებს, დამეებს უძილოს,  
ნუ ცდილობ დანახვას შემკრთალი სულისას,  
ჩემს თვალზე ცრემლების დანახვას ნუ ცდილობ...

\*\*\*  
ვერ მოვაწონე თავი და  
გავციოთ ფეხის წევრებიც,  
ისევ მკბენენ და სისხლს მწოვენ  
ეს კოლო-ბუზი, მწერები,  
ვერ გახდებიან ვერაგნი დედოფლის კარის მცველები,  
ქრება სამყარო ფერადი,  
სისხლიც შრება და ცრემლებიც...

\*\*\*  
ჩემ ძმებს მოვუთხოვ წმინდა მამებზე,  
თავგანწირებაზე, ბრძოლის ალებზე,  
კრებულთა შორის შევაქებ მამაცს,  
ლოცვისას სიტყვებს მოვძებნი ხალას:  
დავაკაუნებ უფლის კარებზე!..

\*\*\*  
ჩრჩილივით გაქრა და გატიალდა  
ყოფის მშვენება, ვერ გამთლიანდა  
ნაწილაკებად დაშლილი და ჩამომსხვრეული,  
რაც დრომ ნაიღო, ვეღარაფრით შემოტრიალდა,  
ანმყო კი არა, მომავალიც ნამყოდ ქცეული...

\*\*\*  
რამდენი ალამუთი, ანდა ასასინი,  
რამდენ ბენგის სიდზე დავრჩით გასასვლელი,  
რამდენი ცრემლიანი ტბა გვაქეს გასაცური,  
რამდენი დასაწყისი გაბდა დასასრული...

\*\*\*  
რვეულებში ჩანერილ ლექსებს ჩიტებს ვუკითხავ,  
თბილ ღამეში ჩანერილ ვარსკების მუქით ვარ,  
თითქოს ვიზაც მაშინებს, თავს ტკივილი დახუნდლავს,  
სიზმარს უზემობ მაშინვე, თვალს როგორც კი  
დავხუნდლავ...

\*\*\*  
რაც დაგითესა, იმას ვერ მომენ,  
ცხოვრება უმადურიაო, — ამბობ,  
შენ აძლევ ყველაფერს, ის გრუქნის ბორკილს,  
შენ ანდობ სიცოცხლეს,  
ის სიკვდილს განდობს.

\*\*\*

რაც დამენერა, ვერ ავიცილე,  
ყოფის ბაზარზე არის სიძვირე,  
მერანს ვეძებ და ყველგან პონია...

რამდენჯერ იღბალს სიტყვა ვუკაზმე,  
მინაზე ვდგავარ, როგორც ვულკანზე,  
სიმშვიდე ვერსად ვერ მიპოვნია...

\*\*\*

სიცოცხლის ჟინი ისე მწველია —  
თითქოს სამყარო ხელში გჭერია,  
მერე იყო და არა იყო რა,  
აღარც ქოჩა,  
არც ცის ჭერია,  
გაქრება კაცი, თითქოს მწერია,  
ყოფის რუკაზე აღარ წერია...

\*\*\*

თვალებში ჩამდგარი ნამი  
ცრემლიან უპეში შრება,  
დაფნებმა დასარეს თავი,  
ფოთლები გაშალეს ბლებმა,  
მარტივით ვიტირო ლამის,  
მარტივად ვიპოვო შვება.

\*\*\*

წყნარ კუნძულზე გამოქცეულს,  
მზე მიმშვიდებს დამზრალ სხეულს,  
ბრბო ხმაურით განსჯის ყოფას, —  
დროში განანამებს, ეულს,  
როკავს წუთისოფლის ჩრდილი,  
ეფერება მთვარე ქოფაკს,  
— ძილის დრო არ არის, ძილის,  
სანამ წყალი მოაქვს კოკას...

\*\*\*

ერთი სიხარულიც არ არის, შევირგოთ,  
ჩვენს სურვილს ყოფასთან არავინ ათანხმებს,  
ავფრინდით ზეცაში, ვიხარეთ, ჯერ იყო,  
მერე კი მოვიდნენ და გაგვამათრახეს...

\*\*\*

ქარივით გამირბის, თუ მოვა ნანატრი,  
რა დამიკარგია, რას ვიძენ, არა ვთვლი,  
შენ მეფის ხალათი გაცვია დიბისა,  
მე მოლოდინი მკლავს მეუფის, მარადის.

\*\*\*

დღეა მეცხრე ავი ჟამის,  
სიკედოლისკენ დავიძარი,  
არც ხმა მესმა ტაძრის ზართა,  
ვერც უფალი გავიცანი,  
გავიცალე ნატვრებისგან,  
მინა ვჭამო, ლამის არი...

\*\*\*

აღარ წიმს, ახლა ოდნავ თქორია,  
სევდა გაფრინდა, გაყუჩდა კბილი,  
სიმშვიდეს ტკბილი გემო ჰქონია,  
აღფორთოვანებას კი — უფრო ტკბილი.  
  
სული და ხორცი თითქოს მეყრებიან,  
ზღვაში ვიხრჩიბი და მინდა გამოცურვა,  
როგორ დამინახოს, — თვალში ეკლები აქვს,  
როგორ მომისმინოს, —  
მის ყურები როცა ძეძვი ამოსულა...

\*\*\*

ანმყო არ გვწყალობს ნამდვილად,  
გაურკევია მყობადიც,  
სულში ჩასახლდა ადვილად  
ზიზით გაწვრთნილი ქოფაკი.  
ცხოვრებამ სისხლი გვადინა,  
ნალველი გვასვა თრობამდი,  
რაც მოგვცა, გამოგვატირა,  
გვათრია ყოფით ყოფამდი.

\*\*\*

მთელი ცხოვრება ესაა:  
ერთი გაკრთომა ელვისა,  
წყალი, მთით დაქანებული,  
უფსკრულის პირი — მერმისად.  
ვითა ზე მთისა წყარმან,  
მომრნება ყვავილი ველისა,  
ამა ვუმადლი უფალსა,  
სხვას ვერგისა...

\*\*\*

ზენაარიდან ნახმობს  
ვეძებ ოცნების ნამქრევს,  
შიომლებიმერა ახლოს, ზედა ზენია აქვე.  
ჯადო-ფარივით მახლავს დიდი წინაპრის საქმე,  
ამ ზიზლის ზღვაში, ახლა, რომ არ ჩავრჩე და გავქრე...

\*\*\*

გული ქვად ექცა, დააგზნო ცეცხლი,  
მოყალიბზე აზრი სულ შეუცვლია,  
ყალბა მისი იქროც და ვერცხლიც, —  
მას პატიება არ შეუძლია...

\*\*\*

ახალი ისეთი მძიმე ჟამია,  
უფალს სიმშვიდეს სულისას ვედრებ,  
მაგრამ უფალსაც აღარ სცალია,  
ტკივილი ტკივილს ედება ზედვე.  
ყველა იმედი ისე მცდარია, —  
ჩრდება თუ არა, სულს იქვე ღაფაგს,  
სიცოცხლე მაინც საოცარია,  
ქარია სწრაფი და სუფთა დაფა...

\*\*\*

ზოგჯერ კამკამა ტბა ვარ და ვიწრიტები,  
თოვლი ვარ, მარტმა რომ კვლავ თოვლი ამატა,  
ჩიტები ჩემ ბალშ აღარ ჭიკჭიებენ,  
ზეცაში წერილებს ვიღაცლა გავატან...

\*\*\*

ვერასდროს დაგბრუნდები იმ ყურესთან,  
სამოთხისენ გასასვლელს რომ მაგონებდა,  
ის თითქოს მთიდან მიყურებდა  
და სიტყვებს ჩემკენ  
ლოდებივით აგორებდა...

\*\*\*

სულ რომ მჩაგროს, — არც ისე უგნურია,  
ბედისნერაც — ერთი უილბლო მეტლეა,  
არწივია, განა უგულო გუგულია,  
ჩემს მომცრო ბუდეში როგორ შეეტევა!..

\*\*\*

სამოთხის კარი ანგელოსთა ჩუმად განახენეს,  
მოსარულეს იმ წალკოში რა არ მანახეს,  
მაჩვენეს განძიც, რომ მალავდი ნიამორებთან...

\*\*\*

დროც გამახსენეს: ვით ახალი, ქორფა ბალახი,  
სულელ ბეკევებს რომ სიამოვნებთ —  
შენი სიტყვა და ღიმილი რომ  
მსიამოვნებდა...

\*\*\*

ვიცრობ ადამიანს: ბოდმას რომ ინთევს,  
ირგვლივ არავის და არაფერს იცოდებს,  
თითქოსდა დრაკონი ცეცხლიან სიტყვებს,  
შასმან შეზავებულს, სამყაროსენ ისროდეს...

\*\*\*

მიტოვებული ობობა ვარ, თუ ყვავი ცაში,  
არწივის გასწროვ რომ დაფრენს და  
ლრუბელს ჰგავს, ნაშლილს,  
თუ ყვავილი ვარ, ამოზრდილი ჩუმად ხავსიდან,  
ვით გაელვება სიცოცხლისა, ჩამქრალი წამში...

\*\*\*

განილევიან და ირყევიან,  
ვითა ლერნამნი,  
შორს წასსასვლელად აიყრებიან, მაგრამ ვერ წავლენ,  
ხანდათას, ოპიზას კვლავ არიან წმინდა მმები,  
განა უბრალოდ იღვანეს და ისე ენამნენ,  
ლოცულობენ და კერპებს ლენავენ...

\*\*\*

თითქოს ვინც მიყვარს, უნდა დამცილდეს,  
არ მოვკედე, გული ისე გაცივდეს,  
დიდება უფალს, ელდა დიდხანს რომ არ გრძელდება,  
უცებ, ლრუბელებში გაჩენილი მთვარე მამშვიდებს,  
ჩრდილი კედართა ხელებს ჩამჭიდებს,  
შემი წელდება,

\*\*\*

ჩემის, ვიღაც კაცი პარმალთან იცდის,  
აპრილის წვიმებს გაზაფხულის დრო შეუცვლიათ,  
ჭექა-ქუხილს რომ გული აქეს, ვიცი,  
ოთახში ჩრდილებს სიარული რომ შეუძლიათ.

\*\*\*

ძნელია სიცოცხლე შიშის ტყვეობაში,  
სახეზე ნაცრისფერი დაედო და აკანკალდა,  
ეგონა ყველას და ყველაფერს დაკარგავდა,  
კლდე ჩამონგრეულიყო მდინარის ხეობაში.  
ჩემი მეგობარი ახლაც იქავეა,

მეც, გული შემკრთალი, ხელში მიკავია...

\*\*\*

გველგესლას ჰგავდა, მიწიდან ამომძრალს,  
უყვარდა დაცინვა და სხვათა დამოძრვა,  
თვალს გაუსწორებდი და, აწრიალდებოდა,  
თავს მორცხვად ჩარიდა და გასრიალდებოდა...

\*\*\*

ფეხიერ მიწაში ყვავილების ბოლქვები ჩავრგე,  
როგორც ფარული გრძნობა, ისე მოელის გამგებს,  
ვით პასუხები, დაფარული, ყოფის კითხვებზე, —  
ყვავილებად რომ იქცევიან, ვფიქრობ იმ დღეზე...

\*\*\*

სანამ წყლისპირას გლიცინია აყვავდებოდა,  
გულს ნაიარევს სალბუნს ვფენდი, დარჩა იარა,  
მდინარ სტიქსთან დავიფიცე, არ მყვარებოდა,  
წყალმა ნამართვა ის სიტყვები და ჩაიარა.

\*\*\*

დახურული სამყარო თანდათან იღება,  
იღვრება ნათელი, ხსნის ფარულ არხებს,  
ფუტკრების ზუზუნი და ქარის სიმღერა  
შემოდის ფაჯრიდან და ფარდებს არხევს.

\*\*\*

ქარის მოტანილი უკუ მიაქვთ  
სხვა ქარებს, მქროლავებს წყვილად,  
გარეთ ყინავს და უკუნია,  
სახლი კი, თბილია და ბრნყინავს...

\*\*\*

ბედი, — უგულო დიასახლისი,  
არ მომაკითხაგს კარგი საქმისთვის...  
მექცა შიშად და გრძნობად — სიყალბის,  
ვერ გაიმეტა ჩჩევა ვერცერთი,  
ბედნიერების ერთი რეცეპტიც, —  
სულ მკიცხავდა და სადლაც მივყავდი...

\*\*\*

გაყინულ ფუტკრებს დაუბრუნდათ  
ფრენის ხალისი,  
მოსურებიათ ცაში ასველა ხეებს ალვისას,  
მზემ გაზაფხულის სუფრა აკურთხა,  
ცივი ქარები კედლებიდან ველარ ძვრებიან,  
მდინარისპირა ბალებს ჩუმად გაეცლებიან,  
ცა ურანოსმა დაისაკუთრა...

\*\*\*

ახდება ყველა ნატვრა, რაც კი ძვირად ხდება,  
ცაში ვარსკვლავები გაჩნდნენ ჩირალდნებად,  
ჩამონღვენთხნენ და უჩინრად იწვიან,  
ვუყურებ ხეებს, ტყიდან გამოსულებს,  
ლრუბლებს, ციდან რომ დაბლა ჩამოცურდნენ,  
ფაჯრიდან რომ მიცქერენ და ნილბებს იცვლიან...

\*\*\*

ჰაერი კედრის სუნით აივსო,  
ნათლის ჩემერიდან მო







## ქეთევან ნათელაძე

მზაობები!

ამოდი, მზეო, მოაცილე ჩემს გულს შიშები,  
შენ იცი, როგორ მაღლვებდა შენი შორეთი,  
როგორ კრისაუდი ზოგჯერ, როცა ჩემში გიშევებდი,  
როცა შენს ქვემოთ ვწვებოდი და თვალს გისწორებდი.

ზღვის ფსკერმა შთანთქა ღამები შენით მწყურვალი,  
შენ მზე იყავი და ქარვისფერ სახლში მაცხოვრე,  
შენი ნათებით, დაბრნელებით და სიმზურვალით,  
მე მხოლოდ ერთი სიყვარული დაფიქასოვრე.

ქვიშით გავავსე მარტოობის შავი ღრმულები,  
მთელი ცხოვრება გაივლიდა ამგვარ ლოდინში,  
მე ვიწვოდი და ვაბრნავდებოდი შენი ყურებით,  
თვალები მაინც არ დავხუჭე და შემოგიშვი.

ვსუნთქავდი ჰაერს შენი ცხელი სუნთქვით ალესილს,  
ჩემს სიახლოეს შენ ჩნდებოდა ზოგჯერ სხვა სახით,  
მე ვიცოდი, რომ დამზერფლვადა შენი ალერსი,  
შენი უნარი დავინცების და გარდასახვის.

შენ აკრძალული სიყვარულის ყველა სამხილი  
იყავი... ჩემთვის ბოლოს წყველაც და ეშაფოტიც,  
მანც მინდოდა გაგეგონა ჩემი ძაღილი  
ნელსაცხებლებად განძეული — მზეო, ამოდი!

რადგან შენ ჰეგდი დაუანგული ფრთების აწევას,  
მიყვარდა დიდხანს შენი მთები, შენი მინები,  
ამოდი, მზეო, უსურეილო ჩემგან გაქცევა  
დაგაგვიანდა, მე შენ ვეღარ დამავინცდები.

## ქვებს მოუყვითები

ჰეგავს მოჩენებას ახლა ის წლები,  
ბედი არასდროს იყო ურყევი,  
წყალს არ მოუყვა შენი სიზმები,  
წყალი საუბრობს — ქვებს მოუყვით.

მდინარების ზოგჯერ ქარებთან  
ისმის ჩურჩული, ნაზი ალერსი,  
იბზარებიან ქვები დრო-და-დრო,  
მაგრამ მათი ხმა არვის არ ესმის.

დროის უსაზღვროდ მძიმე დინებას  
და მწუხარების თმებას ირჩევენ,  
ქვებს მოუყვავი, ქვებს ეტკინებათ,  
მაგრამ არაფერს არ შეიმჩნევენ.

განაცრისფრდება როცა ცისკარი,  
წამის სისწრაფით გავა ცხოვება,  
ვერაცდენილი ჩვენი სიზმარი  
ქვებს სამუდამოდ ემახსოვრებათ.

ცა რომ მოიპამს წვიმებს ეჟვენებად,  
ღრუბლებს გაივლის ელვა ტივივით,  
ქვებს ყვავილებად ამოეშლებათ  
გაუმზელელი ჩვენი ტკივილი.

## უკაცრიელ მიღვისები გარს...

დიდი ხნის წინათ, დამით, როცა ცის ყველა მნათობს  
წაპიდებოდა ქარვა — მნიფე ბაღების ფერი,  
მე დავიკარგე უკაცრიელ მინდერები მარტო  
და შევისუნთქე ვარსკვლავების მსუბუქი მტვერი.

საშინელ ჩრდილებს გადმოფენდნენ ხეები ვიდრე,  
როგორც რაიმე ავის მაცნე, კიოდა ჭოტი,  
— არ გესმით ჩემი?! —

გავაძახოდი მთვლემარე მინდერებს  
და ვაწყდებოდი დუმილს, დამის საზარელ მოტივს.

მას შემდეგ უკვე ჩავლილია მრავალი წყალი,  
დრო მოგონებებს აბუნდოვნებს, ნაცრისფრად ღებავს,  
ტყე იზრდებოდა, მისი ორი წითელი თვალი  
მომშტებობოდა, არ მაძლევდა გაქცევის ნებას.

მას შემდეგ სხვა ვარ, სხვანაირად მესმის და მჯერა  
და ყოველ ლექსში თითო ღმერთს და  
სიცოცხლეს ვკარგავ,  
მე შევისუნთქე ვარსკვლავების მსუბუქი მტვერი  
და დასწეულდი, აღარასდროს გავხდები კარგად.

მას შემდეგ, როცა დამის ნისლში ტყეები ჩანან,  
მგონია, ქარი მპპონის და ზეცამდე ამწევს,  
ეს არის სენი მომაკვდავი, ცას ვხედავ სანამ,  
იქამდე ცეცხლის ღმერთს ვუმდერებ, იქამდე დავწერ.

განა არ ჯობდა? კუპრის წვიმად დამშლოდა ჭერი,  
ან დავეგესლე მკვდარ ჭაობთა ბინადარ ჰიდრას,  
მე შევისუნთქე ყველა შხამზე საშიში მტვერი  
იმ ღამით, როცა ცა ვარსკვლავებს თესავდა მინდვრად.

დიდი ხნის წინათ, დამით, როცა ცის ყველა მნათობს  
წაპიდებოდა ქარვა — მნიფე ბაღების ფერი,  
მე დავიკარგე უკაცრიელ მინდერებში მარტო  
და შევისუნთქე ვარსკვლავების მსუბუქი მტვერი.

\*\*\*  
ერთ დღეს სცენაზე სიყვარული გამოვა მარტო,  
ფერადი ქუდით, დიდი ცხვირით, ჯამბაზის ნიღბით,  
ყელზე შებმული თასმებით და ვეება ბანტით,  
და ყველას თვალნინ სასაცილოდ დაიწყებს ცეკვას.

და ყველას თვალნინ სასაცილოდ დაიწყებს ხტუნგას,  
ერთ დროს მეხოტბე სევდისა და ზაფხულის წვიმის,  
აღარაფერი არ ექნება საერთო ძევლთან,  
წითელი ფანქრით ყურებამდე მიხატულ ღამილს.

ერთ დღეს სცენაზე სიყვარული გამოვა მარტო...

## გავა ზაფხული

რომ გაფერმკრთალდეს ფერი მზის და მწვანე დღეების  
და ზურმუხტისფრად გათენება აღარ მომინდეს,  
რომ დავივინც მდელეგარება ზღვების, ტყების,  
მანც როგორი შემოდგომა უნდა მოვიდეს...

ცის სილურჯემ რომ მონატრება არ დამიტოვოს  
და სხვა სურვილი წაეკიდოს ცეცხლად ქაღალდებს,  
მანც როგორმა ფოთოლცვენამ უნდა ითოვოს,  
მანც როგორი ქარვისფერით უნდა დალამდეს.

რომ აღარ მსურდეს გამოჩენა შტორმში იალქის,  
ამინდს როგორი ღრუბლის ჯარი უნდა ერითი,  
რომ დაცხეს ბოლოს ხანძარივით ეს ფორიაქი,  
ამ უსასრულო ჟინს და ლტოლვას რომ შეველიო!

მალე გაძარცვავს ჩემს გულს ქარი — ბნელის მსახური,  
ერთი ცხოვრება ზაფხულივით ზოგჯერ არ კმარა,  
როგორც სიცოცხლის სასწაული — გავა ზაფხული,  
და შემოდგომა ყოველივეს ბნელით დაფარავს.

მეც გავყითლდები ქარის სახლში გამოკეტილი,  
ყრუ დამეებში უკვე სევდის მძიმე მორი დევს,  
რომ ამ ზაფხულს და ამ სიყვარულს არ გავეტირო,  
მანც როგორი შემოდგომა უნდა მოვიდეს.

## აკროპოლისთან

აკროპოლისთან ახლოვდება როცა საღამო  
და აფერმკრთალდება ჰორიზონტის ვარდისფერ ხაზებს,  
როდესაც ბაღებს ზეთისხილის, ეღვრება სითბო,  
მზის თაფლისფერი, წებოვანი სახათლით სავსე.

ცაზე ღმერთები ღრუბლებისგან ხატვენ ნიმფებს,  
როცა სიზმის და რელუტის მიჯნაზე ხვდები,  
მაშინ უეცრად გაიგონებ მაღალ ბორცვებთან,  
როგორ მღერინ ჭრიჭინები ნაცნობი ხმებით.

და მაშინ თითქოს უბრუნდები რაღაც შორეულ,  
უკვე მოსმენილ მელოდიას და განცდილ სითბოს,  
თითქოს ჩამჭერაში ყვავილები ინყებენ გაშლის,  
გამოტოვებულ საკუთარ თავს შემოხვდი თითქოს.  
აკროპოლისთან ახლოვდება როცა საღამო...


## როცა

მერე გახდება ყოფნა ადვილი,  
როცა გათელავს ქარი იელებს,  
ფლეხს, როახებს, ნაცნობ ადგილებს,  
როცა შეავსებს სიცარიელე.

როცა შეწყდება ზაფხულის ხმები,  
შორს წავა ის, რაც ისეც შორისა,  
და ჩემი თოვლზეც ღამაზი ფრთები  
იცცევა მტკრინ ბუტაფინისთვის.

აღარ დარჩება როცა მცირედიც,  
სევდა გაჰყვება მზისკენ თოლიებს,  
გათანაბრება როცა იშედი,  
ჩამონიკვეტილი, როგორც კოლი.

როდესაც შიგნით რაღაც მოკვდება,  
რაღაც ველაზე მეტად ნამდვილი,  
როცა არაფერს დაველოდები,  
მერე გახდება ყოფნა ადვილი...



## ჯემალ


## გაბუას

მე შენს დაკარგვას ახლა ვგრძნობ მძაფრად,  
განვიცდი, როგორც არასდროს ისე,  
მძიმეა, როცა ოჯახის ძაფი  
გაწყდება და ვერ ამთელებ ისევ.

და უუკი ახლა გვხედავ და გესმის,  
იმქვეყნად თუუკი არასძობ სადლაც,  
შენა ხარ ჩემი უფროსი მწყები  
და შენით ავალთ სიკეთის აღმართს.

## ზამთარი

ხასიათს მიცვლის მანც უდაოდ  
შეწევ ფიქრი და თოვლის ამინდი.  
გარეთ როდესაც ქარი გუნდაბის,  
დაფარულია თოვლით კრამიტი.  
როცა სახლშიაც აღწევს წვიმის ხმა,  
ღრმი მოგონილებს ვარცვლავ გონებით,  
მიყვარს ხმაური სეველი მინისა,  
ვზივარ და ეუსმენ სიამოვნებით.  
გონება მანც ვერასდროს წაშლის,  
რაც ადრე იყო, ძალიან აღრე  
და ახლა ჩემი ძეირფისი სახლიც  
ამ მოგონებებს ბადებს და ბადებს.  
არ მინდა სხვასთან გაყიფა გრძნობის,  
მსურს, დავიფერფლო შენივას და შენად,  
მე ვიცი, თოვლი დამიცდის წლობით,  
თუმც ვერ გავიგებ მე თოვლის ენას.  
მე მინდა, შენი ღამაზი ხ



## შანიძე



